თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და
საგადასახადო საქმეთა კოლეგიას
მის: ქ. თბილისი. გრ. რობაქიძის ქ № 7ა

მოსარჩელე – ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
მის: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ №62

მოპასუხე: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68ა

საქართველოში რეგისტრირებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის
კომპანიის ფილიალი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
"საქართველო"
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. №38

მესამე პირი – ს.ს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია"
მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4

ს ა რ ჩ ე ლ ი

(ადმინისტრაციული აქტის ბათილობის შესახებ)

2002 წლის 30 ნოემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ (შემდგომში – გარემოს დაცვის სამინისტრო) გასცა გარემოსდაცვითი ნებართვა №0011 (შემდგომში - ნებართვა), ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაზე (შემდგომში - ინვესტორი). ნებართვის გაცემის პროცესში გარემოს დაცვის სამინისტრომ არ განახორციელა კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო მოქმედებები, რომლებიც აუცილებელი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფისა და საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის მაქსიმალურად ხელმისაწვდომობისათვის. ამით, შეილახა ჩვენი უფლებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით, "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის (შემდგომში – ორჰუსის კონვენცია) მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებით და საქართველოს კანონებით "გარემოს დაცვის შესახებ" (მე-6 "ვ" და "დ" პუნქტები), "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" (მე-7 მუხლი), "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" (მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი). გარკვეულწილად, არ შესრულდა ასევე, ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ის მოთხოვნები, რომლებსაც ითვალისწინებდა "საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადის საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულების დანართი "ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეტნის მთავრობასთან", რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს მთავრობა და პროექტის ინვესტორები (შემდგომში – ხელშეკრულება).

როგორც გარემოსდაცვითი ნებართვის ტექსტიდან დასტურდება, გარემოს დაცვის სამინისტროში ინვესტორს წარდგენილი ჰქონდა მხოლოდ "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის საქართველოს მონაკვეთისათვის" (შემდგომში – ბსგზშ-ს ანგარიში) და ნებართვა გაცემულია ამ დოკუმენტის საფუძველზე. ივიეს ადასტურებს გარემოს დაცვის სამინისტროს №13-12/17 (05.02.2003 წ) წერილი.
აღსანიშნავია, რომ 2002 წლის 30 მაისიდან 31 იანვარამდე პერიოდში ინვესტორის მიერ წარმოდგენილი იქნა ბსგზშ-ს ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვები და ეს ფაქტიურად,

იყო საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტის განხორციელებასთან და ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ერთადერთი საჯაროდ განხილული დოკუმენტი.

ბსგზშ-ს ანგარიშის პროექტის საჯაროდ განხილვების შემდეგ ინვესტორის მიერ მომზადებულ იქნა დოკუმენტი "პასუხები ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში მიღებულ შენიშვნებზე", რომელშიც წარმოდგენილ იქნა საზოგადოებიდან მიღებული შენიშვნები და მოსაზრებები და ასევე, ის ცვლილებები, რომელიც შეტანილ იქნა ბსგზშ-ს ანგარიშის პროექტში საჯარო განხილვების შედეგად. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისათვის, თუმცა საჯარო განხილვების საგანი ის არასდროს ყოფილა.

ქართულ ენაზე ბსგზშ-ს ანგარიში ინვესტორმა გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად გარემოს დაცვის სამინისტროში წარადგინა 2002 წლის 15 ოქტომბერს. ანგარიში შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან:

(ა) ბსგზშ-ს ამგარიშის პროექტი საჯარო განხილვებისათვის;
(ბ) ბსგზშ-ს ანგარიშის პროექტზე საჯარო განხილვების შედეგად მიღებული შენიშვნები;
(გ) პასუხები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ბსგზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვების პროცესში მიღებულ შენიშვნებზე.

ინვესტორის მიერ სამინისტროსთვის გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარდგენილი ბსგზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვები არ ჩატარებულა.

იმდენად, რამდენადაც გარემოს დაცვის სამინისტრო არ დაკმაყოფილდა ინვესტორის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, სამინისტრომ 2003 წლის 12 ნოემბერს ინვესტორს გაუგზავნა სამინისტროსა და დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ დასმული 32 შეკითხვა და კომენტარი მათზე პასუხის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი შეკითხვები და კომენტარები ეხებოდა პროექტის განხორციელების გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტალურ საკითხებს. აღნიშნული 32 შეკითხვისა და კომენტარის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა არ იქნა უზრუნველყოფილი.

32 შეკითხვასა და კომენტარზე პასუხი გარემოს დაცვის სამინისტრომ მიიღო 2002 წლის 28 ნოემბერს და პასუხის მიღებიდან 2 დღეში, ანუ 2002 წლის 30 ნოემბერს გასცა გარემოსდაცვითი ნებართვა. აღსანიშნავია, რომ არც ინვესტორისგან მიღებული პასუხი იყო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

ფაქტიურად, საჯაროდ განხილული იყო ბსგზშ-ს ანგარიშის პროექტი, ხოლო რაც შეეხება საჯარო განხილვების შედეგად მომზადებულ დოკუმენტებს, გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემამდე მათგან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ "პასუხები საჯარო განხილვების პროცესში მიღებულ შენიშვნებზე". ამასთან, არცერთი მათგანის საჯარო განხილვა არ ჩატარებულა.

"გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" კანონის მიხედვით ინვესტორის მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად საჭირო განაცხადი უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ დოკუმენტაციას, ინვესტორის განცხადებას საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად, საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტს და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულებისა და "მაგისტრალური მილსადენების პროექტების თანდართული ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2002 წლის 16 მაისის №59 ბრძანებით, ასევე განსაზღვრულია, რომ გზშ-ს საბოლოო ანგარიში I კატეგორიის საქმიანობაზე, გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ინვესტორის მიერ შეტანილი განაცხადის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

I კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის მთელი პროცესის მანძილზე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა სრულყოფილი მონაწილეობა საქართველოს კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნაა. "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ"

საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირველი კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისას ინვესტორს უფლება აქვს ჩაატაროს გზშ-ს საჯარო განხილვა გზშ-ს მიმდინარეობის პროცესში. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს ინვესტორს მოაწყოს საჯარო განხილვები, მაგრამ სამაგიეროდ, საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი ავალდებულებს გარემოს დაცვის სამინისტროს, განაცხადის (რომელიც მოიცავს გზშ-ს ანგარიშს) მიღებიდან უზრუნველყოს ინვესტორის საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვა და ამასთან ერთად, ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად სამინისტრო ვალდებულია საქმიანობის საჯარო განხილვამდე უზრუნველყოს პრესაში განაცხადთან ერთად ინვესტორის მიერ წარმოდგენილი მოკლე ანოტაციის გამოქვეყნება, რომელსაც უნდა დაერთოს ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ

ამდენად, მხოლოდ პროექტის ინვესტორის მიერ ორგანიზებული, ბსგზშ-ს ანგარიშის პროექტის განხილვაში საზოგადოების მონაწილეობა არ შეიძლება ჩაითვალოს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხელშეკრულების მე-3 დანართის მე-3 მუხლის (3.1 (II) პუნქტი) მიხედვით, მხარეთა შეთანხმებით მოქმედებს საქართველოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ნებართვის გაცემის წესი. ამ მუხლის მიხედვით გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა უნდა მოხდეს "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით.

"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის "თ" პუნქტის მიხედვით, ჩვენ უფლება გვაქვს სასამართლო წესით მოვითხოვოთ ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობა იმ სახით, როგორზეც გარემოს დაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა ნებართვის გაცემა, არის ეკოლოგიურად საშიში და შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ჩვენს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. როგორც დასტურდება გარემოს დაცვის მინისტრის 2002 წლის 26 ნოემბრის №01/1893 წერილით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპოტო მილსადენის მშენებლობა საფრთხეს უქმნის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონას, ბორჯომის მინერალური და სასმელი წყლების წყალშემკრებს და მთელ ბორჯომის რეგიონს. ასეთ პირობებში გარემოს დაცვის სამინისტროს უფლება არ ჰქონდა მიეღო გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის შესახებ. შესაბამისად, ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეს გადაწყვეტილება შესაცვლელია, ე.ი. გარემოსდაცვითი ნებართვა ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და ახალი გადაწყვეტილება გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად და დროულად იქნება უზრუველყოფილი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ჩვენ უფლება გვაქვს ჩვენი უფლებების დასაცავად მივმართოთ სასამართლოს. ჩვენი სარჩელი დასაშვებია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 24-ე მუხლების მიხედვითაც. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ორჰუსის კონვენციის მე-2 მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მიხედვით, ჩვენ როგორც გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია, ვითვლებით "დაინტერესებული საზოგადოების" წარმომადგენლებად. შესაბამისად, არც ამ და არც სხვა მსგავსი გარემოსდაცვითი სარჩელების დასაშვებობის მტკიცება სასამართლოს წინაშე, ჩვენთვის არ არის აუცილებები, რადგან ორჰუსის კონვენციის მიხედვით, ჩვენ სახელმწიფოს ნაკისრი აქვს ვალდებულება უზრუნველყოს მსგავსი სარჩელების გარჩევა სასამართლოში (იხ. ორჰუსის კონვენციის მე-9 მუხლი "მართლმადგულების ხელმისაწვდომობა").

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ:

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ბათილად სცნოთ გარემოსდაცვითი ნებართვა №0011 გაცემული გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 30 ნოემბერს;